საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 23

02 03 2016 წელი

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 12 თებერვლის N5/6797 წერილის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის სხდომის N5 ოქმის მე-8 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 25 თებერვლის N03/1070 წერილით შემოსული ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 22 თებერვლის N480-03 წერილის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს კანონის საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა SKODA SUPER B სახ. N FCF-696, გამოშვების წელი -2011, საიდ. ნომერი TMBAB43T2C9029379, რომელიც მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის N130 განკარგულებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობისათვის, თხოვების ფორმით გადაცემული იყო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფოს.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის N130 განკარგულება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

ვალერი მეტრეველი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: